საეკლესიო არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა

საეკლესიო არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 30 მოწვეული პედაგოგით. კრედიტების რაოდენობაა 252. საშუალოდ, თითო სემესტრში - 31.25 კრედიტი. თითო აკადემიური წელი მოიცავს 62.5 კრედიტის დაძლევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

მოძღვრის რეკომენდაცია;
საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი;
ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.

შიდა გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში:

ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი);
საქართველოს ისტორია (ზეპირი);
ხატვა (თაბაშირის მარტივი ორნამენტი ფანქარში);
უცხოენა (ტესტირება - ინგლისური ენა (A2),რუსული ენა (A2),გერმანული ენა (A2),ფრანგული ენა (A2) ან ახალი ბერძნულიენა (A2).

შიდა გამოცდების ქვედა ზღვარია 51 ქულა, ზედა ზღვარი - 100 ქულა.
მისაღები სტუდენტების რაოდენობაა არა უმეტეს 7 -ისა.

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სალექციო (თეორიული და პრაქტიკული), პლენერები და სასემინარო საათები, რომელიც მოიცავს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს:წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდს;დისკუსია/დებატებს;სემესტრული სემინარების/კოლოკვიუმების მომზადება-ჩაბარებას;ახსნა–განმარტებით მეთოდს; გამოფენებისა და პრეზენტაციის მომზადებას, სემესტრულ/დასკვნითგამოცდებს.

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც აერთიანებს შუალედურ შეფასებას, გამოფენის, კოლოკვიუმისა და სემინარის ქულებს, ლექციებზე დასწრებისა და დასკვნითი შეფასების საერთო ჯამს (გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს არანაკლებ 11 ქულისა). სასწავლო კურსი გულისხმობს პრაქტიკულ სამუშაოებს მუზეუმებსა და ეკლესია-მონასტრებში.

I კურსი მოიცავს 66 კრედიტს. ძირითადად დატვირთვა აქვს ჰუმანიტარულ საგნებს, რათა სტუდენტმა შეძლოს ზეპირმეტყველების,წერის, ხატვის, ხაზვისა კომპოზირების კულტურის დახვეწა, სტუდენტს გამოუმუშავდეს და პროექტების ჩვევები, შეიძინოს საბაზისო თეორიული ცოდნა და განავითაროს პროექტირების უნარი, შეისწავლოს მშობლიური ქვეყნის ისტორია, უცხო ენა და საეკლესიო ხუროთმოძღვრების კანონიკა.

II კურსი მოიცავს 64კრედიტს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა წმინდა წერილის ტექსტის

შესწავლასთან ერთად გაეცნოს ქართული ხელოვნების ისტორიას. საეკლესიო ტიპიკონის შესწავლა სტუდენტს და ეხმარება გააცნობიეროს საეკლესიო ხუროთმოძღვრების დაპროექტების საფუძველი.

III კურსი მოიცავს 61კრედიტს. სტუდენტს ეძლევა საბაზო განათლება საერო და საეკლესიო ხუროთმოძღვრების დისციპლინებში. ეკლესიის ისტორიის, დოგმატური სიმბოლიკის სასწავლო კურსების მიზანია სტუდენტმა მიიღოს ინფორმაცია საეკლესიოხურო თმოძღვრების შესახებ, გაეცნოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხუროთმოძღვრულ ტრადიციებს, ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის მოვლენებს, პიროვნებებსა და პრობლემებს და საფუძვლიანად შეისწავლოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლო და სამონასტრო ტიპიკონი და ტრადიციები; საერო არქიტექტურის ხასიათი და ტრადიციები; აგრეთვე კომპიუტერული პროგრამა "ავტოკადი".

IV კურსი მოიცავს 67კრედიტს. სტუდენტი იღებს საბაზისო ცოდნას ქართული საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების სფეროში, სწავლობს კიდევ ერთ კომპიუტერულ პროგრამა "არქიკადს"; ქმნის პროექტებს პლანშეტებზე და აკეთებს პროექტის მაკეტებს. აწყობს პროექტების პრეზენტაციას.

თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს უფლება და უნარი: პროფილით პედაგოგად მუშაობისა; საგანმანათლებლო საქმიანობისა, რომელიც ემსახურება მართლმადიდებლური რწმენისა და ღირებულებების დამკვიდრებასა და განმტკიცებას. კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს უნარები: ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა, კომუნიკაციისა (ქართულსა და რომელიმე უცხო ენაზე), შეუძლია გააგრძელოს სწავლა მომდევნო სასწავლო საფეხურზე ან განაგრძოს დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა. პროგრამა სტუდენტებს აძლევს ცოდნას საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების სფეროში, უყალიბებს და უვითარებს მეთოდოლოგიურ უნარ-ჩვევებს.

საეკლესიო არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა
2014-2019 სასწავლო წელი

I სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა 1	2	3
2	ძველი აღთქმა 1	2	3
3	ქრისტიანული მოძღვრების საფუძველი 1	2	3
4	საქართველოს ისტორია	4	5
5	ძველი ქართული ლიტერატურა 1	2	3
6	არქიტექტურული გრაფიკა 1	10	7
7	მსოფლიო ხელოვნების ისტორია 1 (სპეციალური კურსი)	4	5
8	უცხო ენა 1	4	5
	ჯამი	30	34

II სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა 2	2	3
2	ძველი აღთქმა 2	2	3
3	ქრისტიანული მოძღვრების საფუძველი 2	2	3
4	საქართველოს ეკლესიის ისტორია	2	3
5	ძველი ქართული ლიტერატურა 2	2	3
6	არქიტექტურული გრაფიკა 2	12	7
7	მსოფლიო ხელოვნების ისტორია 2 (სპეციალური კურსი)	4	5
8	უცხო ენა 2	4	5
	ჯამი	30	32

III სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა 3	2	3
2	ძველი აღთქმა 3	2	3
3	ეკლესიის ისტორია	2	3
4	ქართული ხელოვნების ისტორია 1	2	3
5	არქიტექტურული გრაფიკა 3	8	6
6	გრაფიკა (ფანქარში) 1	4	3
7	სივრცითი მოდელირება და კომპოზიცია 1	4	4
8	ზოგადი არქეოლოგიის საფუძვლები	2	3
9	გეოდეზია და ტოპოგრაფია	4	4
	ჯამი	30	32

IV სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა IV	2	3
2	ძველი აღთქმა IV	2	3
3	ლიტურგიკა	4	5
4	ქართული ხელოვნების ისტორია 2	4	5
5	არქიტექტურული გრაფიკა 4	8	6
6	გრაფიკა (ფანქარში) 2	4	3
7	სივრცითი მოდელირება და კომპოზიცია 2	4	4
8	შუა საუკუნეებისა და ქრისტიანული არქეოლოგიის საფუძვლები	2	3
	ჯამი	30	32

V სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა V	2	3
2	ტაძარი და მისი სიმბოლიკა 1	2	3
3	ქალაქმშენებლობის განვითარების ისტორია 1	6	5
4	არქიტექტურული პროექტი 1	10	7
5	საინჟინრო -არქიტექტურული ფიზიკა 1	2	3
6	არქიტექტურული კონსტრუქციები 1	4	4
7	კომპიუტერული გრაფიკა 1	4	5
	ჯამი	30	30

VI სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	ახალი აღთქმა VI	2	3
2	აკადემიური წერა	2	3
3	ტაძარი და მისი სიმბოლიკა 2	2	3
4	ქალაქმშენებლობის განვითარების ისტორია 2	6	5
5	არქიტექტურული პროექტი 2	8	5
6	ხალხური ხუროთმოძღვრება	4	5
7	არქიტექტურული კონსტრუქციები 2	4	4
8	საინჟინრო -არქიტექტურული ფიზიკა 2	2	3
	ჯამი	30	31

VII სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	სივრცის დაგეგმარების ქრისტიანული საფუძვლები 1	4	4
2	არქიტექტურული პროექტი 3	10	7
3	ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები	2	3
4	ქალაქგეგმარება	4	5
5	ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია 1	4	5
6	კომპიუტერული გრაფიკა 2	4	5
	ჯამი	28	29

VIII სემესტრი

N	საგნის დასახელება	საათი	კრედიტი
1	სივრცის დაგეგმარების ქრისტიანული საფუძვლები 2	4	4
2	არქიტექტურული პროექტი 4	6	5
3	მდგრადი არქიტექტურა	4	5
4	ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია 2	2	3
5	კომპიუტერული გრაფიკა 3	4	5
6	საბაკალავრო ნაშრომი საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში	8	10
	ჯამი	28	32

კრედიტების ჯამი: 252 კრედიტი